


ნახ. გ. ლომიძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიანგი 4

გამოცემის 53-ე წელი, (№ 1470). თებერვალი. 1976. ფასი 20 კაპიკი.




# არის ასეთი პარტია

არის ასეთი პარტია! —
სამყაროს ულის დენივით, —
გულმტკიცედ, ნათლად, მარტივად
რომ წარმოთქვამდა ლენინი!

არის! — და გათბა მთლიანად
სხეული დედამიწისა,
ჩაგრულმა ადამიანმა
ლენინის მზე დაიფიცა!

არის ასეთი პარტია —
მაჩვენებელი მართალ გზის!
მას სხვა სახელი არ ჰქვია, —
გარდა გმირობის, გარდა მზის!

მშრომელს ბორკილი აჰყარა,
დიდებას გადაერითმა,
შექმნა ახალი სამყარო
ძალითა მით ძლიერითა!

ჩაგვრის სამეფო დაზაფრა
რევოლუციის ზართა ხმით,
სასახლეებად გარდაქმნა
ბნელი ქოხი და სარდაფი!

ხალხის სიმძლავრე ადიდა,
იხმლო და იმუზარადა!
თქვა და — ცხოვრება გამდიდრდა,
მიწა შებრუნდა — ბრძანა და!..

გმირობით — მიწის ამვსები,
დიდებით — კოსმოსს მისული,
მზეობს პარტია ასეთი —
პარტია კომუნისტური!

საიდუმლონი ცათანი
მოდრიკა, მოარაკეტა,
გაანამდვილა ნათქვამი
მოზღაპრე-მოარაკეთა!

სამყაროს გადავაშუქებთ,
მივალთ, სად არვინ მისულა,
კაცობრიობას ვაჩუქებთ
დამორჩილებულ ცის სურათს!

იდიდოს დიდმა პარტიამ,
იმედად იმარადისოს!
მან გზები გაგვაკაფია,
მიწა დოვლათით აგვივსო!

მარად პარტია გვიძღვოდეს,
თავისი გზებით გვატაროს
მისთვის შრომას და სიცოცხლეს
არ დავიშურებთ არცა როს!

გმირულ საქმეთა კეთებით
ახალ ზღუდეებს შევუტევთ
და ღირსეულად შევხვდებით
ყრილობას ოცდამეხუთეს!



ზაურ ბოლქვაძე

# საპატიო სტრიქონები — სკკპ XXV ყრილობის დელეგატებს

### გრიგოლ აბაშიძეს

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე,
სოციალისტური შრომის გმირი

სახელგანთქმული მწერალი და საზოგადო მოღვაწე
ზამთრის დიდ ღამეს ათენებს და საყრილობო ნობათს წერს!..
ქართველთა ასამაღლებლად გმირ აბაშიძეს, გმირ გრიგოლს
ორგზის გმირობას ვუსურვებ! იგრიგალოს და იდიდოს!

### დავით გაღდავაძეს

საქ. სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მეორე ტრესტის № 25
მოძრავი მექანიზებული კოლონის კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი

„სწრაფად, კარგად და იაფად!“ — ასე აშენებს დავითი!
დღეს მაჩვენებლებს გმირისას ვერც ბუღალტერი დაითვლის!
დე, სამტრედიელ მშენებელს, სეხნიას აღმაშენებლის
ქართული დაბა-სოფლები აევსოს ახალშენებით!

### გიორგი ბაქრაძეს

ახალი ითხვისის მაღაროთსამმართველოს „ჭიათურმარგანეცის“
სამთო კომბინატის გვირაბგამყვანი

გრგვინვა გააქვს მიწისქვეშეთს! — ეს ბაქრაძე უტევს გვირაბს!
წინ მიიწევს გულმოდგინედ, ქცეულია გმირთა გმირად!
ამაღლებს და აღფრთოვანებს და ახარებს ახალ ითხვისს,
მიწას უთხრის ჩამორჩენას და მიწაში რაა, იცის!

### ვილჰელმ გალდავას

მთავართბილმშენის მე-14 ტრესტის №2 სამმართველოს ბრიგადული
იჯარით მომუშავე ბრიგადის ხელმძღვანელი

უნდა ვილოცოთ ვილჰელმზე! სახლებს გვიშენებს იჯარით!
ტემპში, ხარისხში, ვადაში აქვს უმაღლესი ნიშანი!
დღეს ისე აუმჯობესებს ზლობინის მეთოდს გალდავა, —
მას მალე არ დასჯერდება და საკუთარზე გადავა!

### ნოდარ დუმბაძეს

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, რუსთაველის
პრემიის ლაურეატი

მზე მარტო მზეზე ამოსდის!.. დღეც მზით სავსე აქვს, ღამეცა
და გვეფინება დ უ მ ბ ა მ ზ ე სითბოდ, სინათლედ, ალერსად!..
ბრწყინავს დიდების ოლიმპზე წიგნებით მარადიულით!..
მისი იდეით შენდება ნორჩთა ქალაქი „მზიური“!

### თამარ დალელაშვილს

გორის ბამბეულის კომბინატის მქსოველი

გორელ თამარ დალელაშვილს ვენაცვალე ნახელავში!
გეგმას მთელი ერთი წლისას ის ანაღდებს ნახევარში...
და ჩხრიალებს მისი ბამბაც, სიხარულის გვახვევს ალში!
ვაშა, მქსოველს სახელოვანს, სხივოსანს და სახეგაშლილს!

### შოთა ეცადაშვილს

პარტიის გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი

შარშანდელი გვალვების დროს გურჯაანში — მზესაცავში —
მართლაც დიდი ჯაფა ადგა მამაც შოთა ეცადაშვილს!
თავკაცია რაიონის — საქართველოს ზვრის და მარნის!
არ შეცდება! მას არ აქებს, ქების ღირსი ვინც არ არის!

### ვახტანგ ემნაძეს

თბილისის № 1 სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი

ინიციატორ-დამკვრელი მძღოლია ვახტანგ ემნაძე,
მისი გმირობის ამბავი ბევრს აკერია ენაზე!
მასალებს საწვავ-საპოხსა, სათადარიგო ნაწილებს
ზოგავს და, მის მკერდს, მიტომაც, გმირის ვარსკვლავი აბრწყინებს!

### ბორის ვაშაკიძეს

ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის
გამომცდელი მძღოლი

პირველ „კოლხეთს“, გამომცდელმა, გაუსინჯე, მძღოლმა, საჭე
და, მას შემდეგ, ქუთაისურ ავტომობილს მიეჯაჭვე!
კიდევ ბევრი გამოცადე! ვაშა, ვაშა, ვაშა კიდევ! —
სანიმუშო შრომის გმირო და ვაჟკაცო ვაშაკიძევ!

### ილია ვეკუას

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

მათემატიკის ტაძარში ოქროს ზოდები შეზიდე
და გაღმერთებენ უდიდეს მეცნიერსა და პრეზიდენტს!
მუდმივი სიდიდეების მზე აშუქებდეს შენს დიდ გზებს!
აღმოჩენების ზეიმი გქონოდეს ას წელს ზედიზედ!

### იულია თავაძეს

ჩოხატაურის რაიონის სოფელ ვან-ზომლეთის კოლმეურნეობის
თავმჯდომარე

თუმც თავმჯდომარედ ქალია, თავს ადგას გმირის ნათელი!
გმირული შრომით გახადა სოფელი მილიარდერი!
თავზე ევლება სოფლელებს, სითბო-სიკეთეს აფრქვევს და
სოფლისთვის ზრუნვას თავაძე თვლის თავის მთავარ საქმედა!

### გიორგი კურტანიძეს

თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მეკოპეთა ბრიგადის
ბრიგადირი

მისი გვარის გაგონება აღტაცებას მუდამ იწვევს!..
აქეთ — კოპი, იქით — კოპი, შუბლზე — ოფლი კურტანიძეს!
ჩვენს გიორგის — გმირს, დეპუტატს, გულით კეთილ, სულით მაღალს.
პირზე ღიმი დასთამაშებს, კოპებშეკრულს ვერვინ ნახავს!

### იზოლდა კოპერიძეს

ამბროლაურის რაიონის სოფელ წესის მევენახეთა ბრიგადის ბრიგადირი

„შენ ხარ ვენახის“ ღიღინით ვენახში შედის იზოლდა
და ღიღინს იწყებს ვენახიც — გლეხკაცის მარადისობა!..
წესად აქვს წესელ ბრიგადირს მიღება უხვი მოსავლის,
ქვე, ამიტომაც, მთელ წესში არ არის უღვინო სახლი!

### არსენ კობაიძეს

წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობის
თავმჯდომარე

შეენაცვლა კობა ჩოხელს და კომუნის კომბაინზე
მტკიცედ დადგა კომუნისტი — გმირი არსენ კობაიძე!
არის დინჯი თავმჯდომარე, გონიერი, ქველმოქმედი
და ყოველთვის წარმატების ზენიტში ჰყავს ზემო ქედი!

### კლიმენტი ლაშხიას

წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიე-მექანიზატორი

გასულ ხუთწლედში ლაშხიამ (როგორ არა ვცეთ თაყვანი!)
სამასი ტონა მოკრიფა ჩაის საკრეფი მანქანით..
და სახელმწიფო პრემია დაიმსახურა კლიმენტიმ!
ახალ ხუთწლედში მეტს მოკრეფს! — გვქონდეს კლიმენტის იმედი!

### ზეინაბ მაისურაძეს

თბილისის საწარმოო გაერთიანება „საქკონდიტერის“ კომკავშირულ
ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელი

ქალს, ტკბილ-მოუბარს, ტკბილ-ქართულს, ეს წელი ექცა ზეიმად!
სიტკბო გამოსდის ხელიდან „საქკონდიტერში“ ზეინაბს.
გვიმზადებს კანფეტ-შოკოლადს!.. ტკბილ პროდუქციას შესცინა!..
მოსავდეს მაისურაძეს მზე გარეთაც და მზე შინაც!

### ალექსანდრე მარგალიტაშვილს

თელავის რაიონის სანიორის კოლმეურნეობა „მეგობრობის“
თავმჯდომარე

ბრძანდება გულით მართალი და სულით მაღალი კაცი!
მეგობრობის მზე ანთია მის საქმესა და სიტყვაში!
სამაგალითო ხელმძღვანელს, ცეცხლის ალ მარგალიტაშვილს —
ამ სანიორელ სენიორს — დავუკრათ მაგარი ტაში!

### მერი მდივანს

გარდაბნის რაიონის ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკის
დირექტორი

მივიდა! ზარალ-წაგების შავი ღრუბლები დაფლითა!
მის ხელში ფრთები გაშალა, ცაში აფრინდა ფაბრიკა...
და ნორიოზეც გავიდა მოგების მერიდიანი!
ვადიდოთ დიდი თავქალი და დედა — მერი მდივანი!

### ზურაბ სარალიძეს

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ხარატი

ზურაბის „ქნანი ვითა ვთქვნე სიჩალხე-სიხაფეთანი!“
ჰმორჩილობს სარალიძესა თვით ურთულესი დეტალიც.
სახელოვანი ხარატი, — შრომა რომ გაიფეტიშა, —
ხელს უწყობს წაღმა ტრიალში მუშათა კლასის ბედის ჩარხს!

### ბორის სარალიძეს

პარტიის მესტიის რაიკომის პირველი მდივანი

მესტიაში ფეხი შედგა, ჩამორჩენამ იწყო დრეკა
და სვანეთი ეზიარა მუდმივ დენს და ცისფერ ეკრანს!
რაინდ ბორის სარალიძეს — კეთილშობილს, სპეტაკს, კლდეკაცს
და მქნელს ბევრი კარგი საქმის — კიდევ უფრო მეტი ექნას!

### ლეონტი ტყებუჩავას

ტყვარჩელის №2 შახტის მაღაროელი

დღეს ტყებუჩავა პირველი მოქალაქეა ტყვარჩელის!
როცა გმირს ახლოს გაიცნობთ, აღტაცებული დარჩებით!
მამის კვალს გაჰყვნენ შვილებიც, გულში თქვა: „ამას ველოდი!“
რა შავ ქვად გინდათ შახტიო, — არ უთქვამს მათთვის ლეონტის!

### ალექსი შუბითიძეს

ბორჯომის მინის ქარხნის მინის მდნობელი

ლექსივით ტკბილი ალექსი, ცნობილი მინის მდნობელი,
ლაღი და ალერსიანი, ყველასგან მისანდობელი,
უხარისხობის მტერია, სასტიკი, დაუნდობელი,
უნთია გულშიც, ქურაშიც მას ცეცხლი ჩაუქრობელი!

### ლამარა ჩხაიძეს

ლანჩხუთის რაიონის სოფელ ზემო აკეთის კოლმეურნეობის მეჩაიე

მთელი ლანჩხუთის მშვენება — გმირი ლამარა ჩხაიძე —
უსაზღვროდ შეყვარებული ბრძანდება თურმე... ჩაიზე!
ჩქარა, ჩვეული ღიმილით, მოსკოვში ჩავა ლამარა
და იქ საჩუქრად ჩაიტანს ჩაის ჩინებულ ამანათს!

### გივი წითლიძეს

მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების კოლმეურნეობის
თავმჯდომარე

დიდი საკოლმეურნეო შრომის აკადემიკოსი
და ტიტანი ნატანების, — რომ ახსენებს ერი ლოცვით, —
გმირი გივი წითლიძეა — დღევანდელ დღის არაგველი!..
მშრომელები ჰყავდეს კარგად! — სხვა არ უნდა არაფერი!

## სამამულო სიმფონია

უნდა ვისწავლოთ! ვაშენოთ! ვძებნოთ!
გადავიხადოთ მამულის ვალი!..
მაგრამ მამული, დებო და ძმებო,
როდია მარტო მიწა და წყალი!

მამული — ხვალის მძაფრი ლოდინი,
სულის სილაღე და სიმფონია —
სადღეგრძელო და სუფრა როდია,
როგორც ზოგიერთ უვიცს ჰგონია!

მამული არის შრომა და შექმნა,
სიხარულიც და ნაღველიც ხალხის!..
ფიქრი, ოცნება, სწრაფვა და შებმა,
მარადიული წყურვილი ახლის!

ბევრი ჩვენგანი დუმილს არბევს და
არც ერთ სიძნელეს არ უშინდება!
ბევრის მკერდში კი, არა, არ ფეთქავს
გული, რომელიც მამულს სჭირდება! —

დადის, არაფრად არ უღირს ერი!
კეთილისაგან ვერ არჩევს ბოროტს!
დაფარული აქვს გონება ბნელით
და ზურგის ტვინით აზროვნებს
მხოლოდ!

ყოველი დღით და ყოველი წუთით
ვადიდოთ დედა—ქართული მიწა!
მისი გენია — მეტყველიც, უტყვიც!
სიმაღლე მისი ფირუზი ცისა!

ყოველი დღით და ყოველი წუთით
ვახაროთ უხვი ქართველი ხალხი!
მისი ბედისთვის რაც არის ცუდი, —
არ ავაშოროთ ცეცხლსა და მახვილს!

რამდენი გვმართებს, რამდენი
გვმართებს,
მამული ჩვენგან რაოდენს ელის:
სიტყვა უთქმელი არ უნდა დაგვრჩეს!
მიწა — მოუვლელ-დაუთესველი!

განუახლები — დაბა-სოფელი!
ჩამქრალი კერა — აუნთებელი!
მტრის გული — ლახვარდაუსობელი!
ტკივილი — წამალდაუდებელი!

გადაუგდები — შურის უღელი!
მიტოვებული — წმინდა საფლავი!
ნაკლოვანება — აღმოუფხვრელი!
დადაფვნის ღირსი — დაუდაფნავი!

გაუკიცხავი — ერის შემრცხვენი,
უსაქმური და მუქთამჭამელი!
ბოროტმოქმედი, ხელისშემშლელი —
დაუსჯელი და დაუძალველი!

დაუპყრობელი არ უნდა დაგვრჩეს
არც წელიწადი, არც დღე, არც წუთი!
გამრუდებული გავმართოთ საჭე!
ვადიდოთ ერის ნაღვაწ-ნასულთქმი!

უპირველესად გვჭირდება საქმე!
დღეს მარტო სიტყვა საქმეს არ შველის!
დასაზრდელი გვყავს ლეკვები ალგეთს —
მემკვიდრეედ ჩვენი ნაკვდავ-ნაშენის!

იფეთქოს ჩვენი ძალ-ღონის დენთმა
მეტი ცეცხლის და ელვის მოდებით!
ჩვენ თვითონ უნდა მივხედოთ ჩვენს
თავს! —
ვის ველოდებით?! რას ველოდებით?!

მაშ, გაუმარჯოს ჩვენს აღმოჩენებს
და ვაჟკაცურად გატანილ ლელოს!
რა დაადუმებს, რა შეაჩერებს
მზისაკენ დაძრულ დიდ საქართველოს!



— ამას ვის ვხედავ! როგორ ბრძანდებით, ნუგზარიჩ?!

— არა მიშავს, მაგრამ...

— ოჯახში ხომ კარგად?! მეუღლე, ბავშვები!..

— გმადლობთ, ოღონდ...

— უარს ნუ მეტყვით. ჩემო ნუგზარიჩ, ათიოდე წუთით აგერ, რესტორანში შემომყევით! თქვენ გგონიათ, პატარა ხალხი ჭურში ვსხედვართ? ჩვენამდეც აღწევს ღირსეული ხალხის დაწინაურების ამბები. უარს ნუ მეტყვით და, თუ გნებავთ, აგერ, აქვე გამომჭერით ყელი!..

— დიდი სიამოვნებით, რომ...

— თუ გამაწბილებთ, აი, ასე ვიქნები დილამდე, ა, აი, ასე!

— რას კადრულობთ?! ახლავე ადექით! ხალხი გიყურებთ! მუხლები ჩაიბერტყეთ!

— ესე იგი, თანახმა ხართ, ხომ?

— სიამოვნებით შემოგყვებოდით, ჩემი მოხსნის თაობაზე სამინისტროში რომ არ მიმეჩქარებოდეს...

— ჰა, რაო?! მოხსნის თაობაზე?!. რამდენი გვილაპარაკია, კაცო, ცხრა საათი სრულდება!.. სამსახურში რომ დავიგვიანო, დირექტორი ტყავს გამაძრობს! ნახვამდის, გენაცვალე!

**თ. კამკამიძე**

ნახ. მ. აბაშიძისა



— ახლაც იტყვი, მე ვარ და ჩემი ნაბადიო?!



— მეგუხრე რომ ჭას ვერ ამოგიყვანდა, არ იცოდი?!

## კარგ მთქმელს—კარგი გამგონე

**უგუნებოდ** დაბრუნდა სამსახურიდან შინ სევერიანე. სადარბაზოში მეზობელი გალანძღა: „ანონიმშჩიკი" და „მელოჩნიკი" უწოდა. როდესაც ცოლმა კარი გაუღო, პალტო არც კი გაუხდია, ისე დაიწყო რაღაცის ძებნა... რომ ვერ იპოვა, ახლა მეუღლეს მივარდა, რა უყავი დასაპატიჟებელი ხალხის სია და მოსაწვევი ბარათებიო. ცოლმა გარდერობიდან ერთი დასტა ბარათები გადმოიღო და ქმარს წინ დაულაგა, სევერიანემ სია, მოსაწვევ ბარათებთან ერთად, ნაკუწებად აქცია და შვებით ამოისუნთქა.

— რა ქენი, კაცო, გაგიჟდი?! — შეიცხადა მისმა მეორე ნახევარმა მზისადარმა.

— აღარ ვათხოვებ ქალს! — აღრიალდა სევერიანე.

— რა მოხდა, მამიკო?! — თავი გამოყო მეზობელი ოთახიდან მეორე ქალიშვილმა ირინემ.

— თქვენ რა გენაღვლებათ. მე მომხსნიან სამსახურიდან და მიმცემენ პასუხისგებაში!

— რევიზია დაგეცა ხომ?! — აკივლდა ახლა მზისადარი.

— რევიზია და მეხი დამცემოდა, ის მერჩივნა ამას! — ცხვირწინ გაზეთი აუფრიალა ცოლს სევერიანემ. მზისადარმა ქმარს გაზეთი გამოგლიჯა და სათაური და სევერიანეს მიერ წითელი ფანქრით გახაზული ადგილები დამარცვლით ჩაიკითხა.

— აკრძალეს, აბა, ქორწილები?! რა ეშველება ახლა ამდენ ყცოლოსა და გაუთხოვარს?

— ნამეტანი მომრავლდა ხალხი დუნიაზე და, ალბათ, მაგიტომ ქნეს.— დაასკვნა სოფლიდან სტუმრად ჩამოსულმა მზისადარის ბაბუამ.

...იმ ღამით სევერიანეს ბინის ფანჯრებში გვიანობამდე კიაფობდა შუქი. ბევრი იმსჯელეს და გადაწყვიტეს, ხელოვნური მოტაცება მოეწყოთ. მესამე დღეს დამწუხრებული სევერიანე მეზობლებსა და ნაცნობმეგობრებს მოუთხრობდა იმის შესახებ, თუ თვალსა და ხელს შუა როგორ მოტაცეს საქორწილოდ გამზადებული ქალიშვილი...

იმ დროს, როცა ყველაფერი მოგვარებულად ჩაითვალა, სევერიანეს ეზოში მეხივით გავარდა მისი მეზობლის, სამხატვრო აკადემიის სტუდენტის, ნათიას გათხოვების ამბავი. დაბნეული სევერიანე ფანჯრიდან გასცქეროდა ახალშეუღლებულებს, რომლებიც თოვლივით ქათქათა „ვოლგიდან" გადმოდიოდნენ. როდესაც სიძემ მათლაფა ნამცეცებად აქცია, სევერიანეს მოეჩვენა, რომ ის მოქნეული ფეხი მას მოხვდა თავში და გონებამიხდილი იატაკზე მიესვენა. გონს რომ მოვიდა, მხოლოდ ამის თქმაღა მოახერხა: „აკი აკრძალესო?" ამ დროს კარი გაიღო და ოთახში მეზობელი შემოვიდა. სევერიანე იატაკზე რომ დაინახა, შეშფოთდა, ცუდი ხომ არაფერია, მეზობლებოო, იკითხა და, რომ დარწმუნდა, საშიში არაფერი იყო, სახე გაებადრა.

— მომილოცეთ ქალიშვილის გაბედნიერება! ყველას გეპატიჟებით, სულ შინაურები ვიქნებით, ორმოცდაათ კაცამდე მეყოლება! — საზეიმოდ გამოაცხადა მეზობელმა.

სევერიანე წამოდგა, ტანსაცმელი ჩამოიბერტყა, შემდეგ გაახსენდა მისი ქალიშვილის „მოტაცების" ამბავი, ნაკუწებად ქცეული სია, რომლის მიხედვითაც სამასამდე კაცის მოპატიჟება იყო ნავარაუდევი, გაახსენდა და ყველაფერი ნათელი შეიქმნა მისთვის.

ბევრი იმხიარულა იმ ღამით სევერიანემ მეზობლის ქორწილში, ხოლო რაღაც ორიოდე დღეში სადღესასწაულოდ გამოწყობილი სევერიანე საკუთარი ქალიშვილის სახელდახელოდ გამართულ ორმოცდათერთმეტკაციან ქორწილში, სხვა სტუმრებთან ერთად, ბელკანტოში გაჰკიოდა „მრავალჟამიერს".

**თამაზ მეიშვილი**

ნახ. გ. ფირცხალავასი



მეტისმეტმა იავნანამ რა ჰქმნა

## რა ჩემი ამხანაგი ხარ?!

ახალი „ვოლგით" დაქრიხარ,
სადაც კი მიხვალ, დიდგულობ,
თუ საბურავი გაგიცვდა,
ახალ მანქანას ყიდულობ!

თავზე გადაგდის ცხოვრება,
ყველას ზემოდან დასცქერი!
ჯერ არ მოსულა შენამდი
სიმართლის სუსხი, ნამქერი!..

შენთვის ერთია გაზეთიც,
წიგნიც... ხუცურიც, მრგვლოვანიც!
თავს უმისოდაც გაიტან
„იმ ძველი დანატოვარით!"

სუყველაფერში მარჯვე ხარ, —
მე მგონი, ესეც არ იყოს, —
ვდგავართ სხვადასხვა პოლუსზე,
ეს კარგად უნდა გაიგო!...

ხელზე დაიხვევ ერთ სიტყვას,
მისი თქმის ღირსი არც კი ხარ!
და „ამხანაგოს" მეძახი,
რა ჩემი ამხანაგი ხარ?!.

**შოთა ხოდაშნელი**

## თავმდაბალი კაცი

**ამას** წინათ შემთხვევით შევხვდი სიმონას. მივიკითხმოვიკითხეთ ერთმანეთი. მერე — სად მუშაობ-მეთქი, დავინტერესდი.

— ინსტიტუტში, — მიპასუხა, — რაცხა ერთი განყოფილების უფროსის მოადგილის ადგილი მიკავია.

— ხელფასი?

— რაცხა ორასი მანეთი მაქვს. აქეთ პრემიებიო, იქით მრემიებიო და რაცხა სამას მანეთამდე ავდივარ თვეში.

— ბიჭოს! არაა ეგ ცუდი!

— რა უჭირს, მარა ბევრი არაფერია. ახლა რაცხა დისერტაციას ვწერ, კანდიდატობას ვაპირებ. მერე ვნახოთ.

— ბინა?

— რაცხა ოროთახიანი ბინა მაქვს საბურთალოზე. ახლა პაწია ფული მოვაგროვე და იქნება ერთი რაცხა სამოთახიანი ბინა ავიშენო ვაკეში...

— ოჯახი?

— რაცხა ერთი მინისტრის მოადგილის ქალიშვილი მყავს ცოლად. რაცხა ერთი „ჟიგული" და ავეჯის გარნიტური მოყვა მზითევში. მეტი არაფერი.

— მეტი არაფერი, ხომ? შვილები?

— რაცხა ორი ბალანი მყავს ჯერ, მერე ვნახოთ...

დავემშვიდობე. მივდიოდი და მხრებს ვიჩეჩავდი — რაცხა ერთი რიგითი ინჟინერი ვარ, რაცხა 135 მანეთი ხელფასი მაქვს და თავი ალი-ბაბა მგონია. სიმონამ კი ამხელა სუკი ჩამოათალა ცხოვრებას და ყველაფერს „რაცხას" ეძახის. ა, ბიჭო, კაცი! ა, ბიჭო, თავმდაბლობა! აფერუმ, სიმონ!

**ნუგზარ აფხაზავა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა




— ნარდსა და კარტს შენ არ თამაშობ, დამკვრელებს ფულს შენ არ აძლევ,
ღვინოს შენ არ სვამ, ჩხუბი შენ არ იცი და ქორწილში რადა მიგარბენინებს?!

# ღია წერილი

**ზუსტად 19 საათსა და 37 წუთზე, გრინვიჩის დროით, სასაზღვრო ზონის 47-ე კვადრატში, სასიგნალიზაციო სისტემა ამუშავდა...**

**ზემდეგმა ვადიმ ივანენკომ და ეფრეიტორმა ძუკუ კვარაცხელიამ ბილიკი შეათვალიერეს... კვიპაროსის ტოტზე კონვერტი შენიშნეს. ძუკუმ სწრაფად მოსწყვიტა კონვერტი და დათვალიერება განაგრძო... ბილიკს კინოკადრებივით გასდევდა: ფეხსაცმლის ლანჩა, ქუსლი, ისევ ლანჩა!.. შემდეგ — ისევ ქუსლი!.. ნივთმტკიცება „ისანის“ მარკისა იყო...**

**ჭოროხის ციცაბო ნაპირზე კაცი თავდაღმა ეკიდა, ფეხებიდან სისხლი სდიოდა...**

**— ჩქიმი ბურსა! — ცეცხლწაკიდებულივით იკივლა ძუკუმ და გულწასული ძმა მკერდში ჩაიკრა...**

**ივანენკომ საკინძე გაუხსნა და წყალი ასხურა. კაცმა თვალი გაახილა და ისევ დახუჭა...**

**თვალცრემლიანმა ძუკუმ კონვერტი გახსნა. წერილი ანონიმური იყო:**

„ტრაგედია, რომლის მსხვერპლიც მე გავხდი, ნეოლითის ხანის მეორე ათასწლეულში დაიწყო, როცა ქვეყანას პირველი ბიზნესმენი მოევლინა, ვაჭრის ამპლუით, და მეჯოგისა და მიწის მუშის შუამავლობა იკისრა: ცვლიდა მჭადში ყველს, ლობიოში — მაწონს, სოიაში — მაიონეზს; მიირთმევდა პიტნაში გადაზელილ სულგუნს, ნიორწყალში ჩაბუყბუყებულ წიწილას, კეცზე გამომცხვარ მჭადს; ეცვა მეფურად და იყო ღმერთივით. მაშინ, ალბათ, ქვეყანა უპატრონოდ იყო, ღმერთი ტყემალზე იჯდა!..

ამდენი რომ მცოდნოდა, სავაჭრო-ეკონომიურ ფაკულტეტზე რა ეშმაკი შემიყვანდა?! დავამთავრე თუ არა, მაღაზიის დირექტორად დამნიშნეს (აბა, კემბრიჯის უნივერსიტეტის რექტორობას ვინ მომაშავებდა?!) ჩქარა დავოჯახდი.

ერთ საღამოს შემოუდგია ფეხი ფეხზე სიმამრს, გაუჩრია კბილებში ჰავანური სიგარა და მიბრიალებს თვალებს:

— შენზეა, ვაჟბატონო! — შემომიღრინა და გაზეთი მესროლა: „ყ ა ჩ ა ღ ე ბ ი დ ა ხ ლ შ ი!“

„პამირი“ ვიძვრე და სამი ნაფაზით დავფერფლე. მესამე დღეს გამყიდველის სიფათი უჩვენეს ტელევიზორში, კარტოფილის ცხვირითა და რუმბივით მუცლით.

— ბეჰემოთია? — იკითხა ჩემმა გოგონამ.

— მამაშენია! — აუხსნა სიდედრმა.

თავმოყვარეობის ჭიამ შიგ ჭიანაჭამ კბილში მიჩხვლიტა და ცეცხლი შემინთო...

...კბილის ექიმმა ღრანჭში ნემსი მაძგერა და დაკითხვას შეუდგა, თანამდებობას რომ მიადგა, მთელ ფრონტზე ცეცხლი გამიხსნა:

— შენი მოსატყუებელი კბილები აგერ ყრია, ა! — ჩამახედა ურნაში, დამქაჩა საყელოში და გარეთ მისროლა. ღრანჭმოქცეული, გვერდულად მივადექი მაღაზიას.

— მაღაზია შეამოწმეს! — მითხრა ცხვირჩამოშვებულმა სექციონერმა, — ვერაფერი ნახეს! ბოლოს, ერთი ბუზი შეიპყრეს და აქტს დაურთეს. გამყიდველი ამტკიცებს, თვითონ შემოაპარეს და მერე ააფრინესო.

— განგებ იყო დაინვალიდებული, — ამიხსნა გამყიდველმა, — ცალფრთაშეჭრილი, თვალებდათხრილი და ორი ფეხიც აკლდა...

ანტისანიტარიაზე საყვედური მომაკრეს!

ბედის ვარსკვლავი უხეიროდ ბჟუტავდა. ის იყო, ორი შემმოწმებელი კომისია გავისტუმრე და მესამეს ველოდებოდი, რომ ბრმა ნაწლავმა შემიტია, საზღვრები გადალახა და კაპიტულაციის წინაშე დამაყენა... გამსინჯა მამაჩემის ნათლულმა მთავარმა ქირურგმა და მითხრა, სადაცაა, გასკდება და არ შეშინდეო!

დანაღმული ხარ და, სადაცაა აფეთქდებიო, რომ გითხრან, არ შეგეშინდებათ?

— თუ გწამს მირონი, გადამარჩინე კაცი!

— ადგილები არ არის! კი შეიძლება შეგტენო სადმე, მაგრამ, ხომ იცი, ვაჭარიაო და ათას რამეს იფიქრებენ!.. დააცადე ცოტა, გასკდება, მოგიტანენ სასწრაფო დახმარებით და ბრმა ნაწლავის ნასახს აღარ დაგიტოვებ! საცხოვრებელი ადგილის ცნობა იქონიე თან!

სახლმმართველობაში ერთი კვირა მატარეს. ბოლოს, ველარ მოვითმინე და მივახალე, ბიუროკრატები ხართ-მეთქი! ქალებმა ერთიმეორესთან მოითათბირეს: „ბიუროს“ კიდევ არა უშავს, მაგრამ მაგ „კრატს“ კარგი სუნი არ უდისო!.. წამესიენ და, რომ გაიგეს, ვინც გახლდით, სულ ქურდი და ოხერი მიძახეს!..

მაღაზიაში თათბირი მოვიწვიე და გადავწყვიტეთ: რადაც არ უნდა დაგვჯდომოდა, მაღაზია კაპიტალურ რემონტზე დაგვეყენებინა, მაგრამ წუთისოფელი როდი გაცლის რამეს!

მაღაზიაში სამი კაცი შემოვიდა. შეაჩერეს მომხმარებელი და კარაქი გადაწონეს: მისხალი არ დაჰკლებია! გაწყრნენ და გავიდნენ!.. ცოტა ხნის შემდეგ ქუდები შეიბრუნეს და ისე შემოვიდნენ. ძეხვის წონა შეამოწმეს. ახლაც არაფერი გამოუვიდათ და წავიდნენ. მერე პალტოები გაიხადეს, შემოვიდნენ და მომხმარებელთან შაქრის წონა გასინჯეს. ისევ გაწბილდნენ. ერთმა ველარ მოითმინა და თურქულად შეიგინა. ვიფიქრე: ახლა გავლენ, შარვლებს გაიხდიან და გაცივდებიან-მეთქი!.. შემეცოდნენ, შევიხმე კაბინეტში და აქტის ტექსტი ვუკარნახე: „ძეხვის გამყიდველმა მომხმარებელს 200 გრამი დააკლო და, შენიშვნის პასუხად გირი ესროლა. კარაქის გამყიდველმა 50 კაპიკი ააწაპნა, თანაც შეაგინა. შაქრის გამყიდველმა ფული გამოართვა, საქონელი არ მისცა და აფერისტები უწოდა. დირექტორმა საჩივრის წიგნი გადამალა, ყველას გათახსირებული უძახა, მერე კოლტი დააძრო და ისროლა (რაც მართალია, მართალია, რაკეტა არ უსვრია!) ამასთანავე, მომხმარებლებს მიუსიეს ვირთხები, თაგვები და ტარაკანები“.

მოვაწერე ხელი და მოვუსვი..

უნდა გადავიხვეწო! სტამბოლამდე როგორმე ჩავაღწევ, იქიდან რიო-დე-ჟანეიროში მოვხვდები, სან-პაულუში სახის პლასტიკურ ოპერაციას გავიკეთებ, ყურებს გადავიადგილებ, ცხვირს ოდნავ მოვდრეკ, კოსტა-რიკაში აპენდიციტს ამოვიკვეთ, პარიზში კბილებს დავიძრობ!.. კრისტიან ბერნარდს თუ შევხვდი სადმე, გულს გადავანერგვინებ (მე ღორის გულს ვირჩევ!) მერე ჩამოვაღწევ საყვარელ სამშობლოში, გავიცნობ ჩემს ცოლს, ვიქორწინებთ, შემიყვარებს ჩემი შვილიც, გავფორმდები დარაჯად, შევითავსებ დამლაგებლისა და შიკრიკის თანამდებობებს, აღარავინ მიწოდებს ქურდს, ჯიბგირსა და ათას ოხრობას, ვიცხოვრებ ბედნიერად და მერქმევა კაცური კაცი! მშვიდობით!“

**— სკანი ჭირიმა, ჩქიმი ჯიმა, ჩქიმი ბურსა!.. რა შენი საქმეა, ბიჭო, მაღაზიის უფროსობა? ჩვენი კოლმეურნეობის ხარ-კამეჩი განთქმულია მთელ სამეგრელოში. ვმწყემსოთ და ვულაპოთ ლებარდეს ჰაერი! — ზლუქუნებდა ძუკუ და გულში იკრავდა ძმის წერილს...**

**აკაკი მუხურაძე**

სიცარიელეს ჰფარავს მაღალი შუბლი,
უწმინდურ მზერას შავი სათვალე იცავს.
სავარძელში ზის „წარმოგზავნილი უფლის"
და, რა ხანია, ამძიმებს ცოდვილ მიწას.

გულისფიცარიც ცარიელ ბუდეს აკრავს,
ცივი ქარები დათარეშობენ შიგნით,
ერთი ნაკლი აქვს, (თუ ჩაითვლება ნაკლად) —
თავი უსკდება... საკუთარ თავზე ფიქრით.

როგორც ასეთი, არ გააჩნია სისხლი,
მიჩვეულია მიფერებას და ქებას,
ყველას, ყველაფერს უმზერს იუდას ზიზღით
და საკუთარი ბედნიერებით ტკბება.

სინდისი? დიახ, გაუგონია სადღაც,
თურმე არსებობს რაღაც ასეთი ცნება,
უსინდისობა დასწამეს ერთხელ საწყალს
და, გულის ნაცვლად, მუცელში რაღაც სწყდება.

სულიო? თურმე დიდი ხანია სული
ოცდაათ ვერცხლად გადაულოცა ეშმას...
ახლა კი ფხიზლობს, არ ეკარება რული
და უკვე იცის, რომ შეაბამენ ეჟვანს

ალექსანდრე ტაგატაძე

## ნ ა კ ვ ე ს ე ბ ი

● **იმხელა** ჰ უ მ ა ნ ი ს ტ ი იყო, უფროსს განცხადება მწვანე მელნით დაუწერა, თვალები არ ეტკინოსო.

● **იმხელა** უ ე ნ ო იყო, დღე და ღამე სულ ანონიმურ წერილებს წერდა.

● **იმხელა** „პ ა ტ ა რ ა კ ა ც ი" იყო, ვერავინ ამჩნევდა, როგორ იბერებოდა.

● **იმხელა** მ ლ ი ქ ვ ნ ე ლ ი იყო, უფროსთან ნარდის თამაშსაც ფრედ ამთავრებდა.

● **იმხელა** „მ ა მ უ ლ ი შ ვ ი ლ ი" იყო, საკუთარი შვილების აღზრდისათვის ვერ მოიცალა.

**ავთანდილ გურგენიძე**

მლიქვნელობა, გარკვეული აზრით, შეიძლება შევადაროთ ნარკოტიკებს, როგორც ცნობილია, ამ ნივთიერებებს შეუძლია ადამიანი გადაიყვანოს სასიამოვნო შეგრძნებების სამყაროში, გონება დაუბნელოს და აქციოს ცხოველის მსგავს არსებად. აი, რა არის მლიქვნელობა! ამიტომ მტკიცედ და გარკვეულად ვამბობთ: ძირს მლიქვნელები და ძირს მლიქვნელობა!

*საქართველოს კპ XXV ყრილობის მასალებიდან*

ნახ. მ. აბაშიძისა



— *რაც ჩემი ქმარი უფროსად დანიშნეს, კეთილმომსახურების ბიუროდან კაციშვილს აღარ ვეძახით!*

## წ ქ ი პ უ რ ტ ე ბ ი

**ფიცვერცხლნაჭამს**

მასზე ქებით
ყველა ენად გაიკრიფა,
თვით კი თავი
აღარ იცის, რით იქოს.
მარტო ერთი
მტერი მყავსო, გაიფიქრა
და გაუხდა
ძმადნაფიცად... კრიტიკოსს.

* * *

**პლაგიატს**

ვიცი, ვინცა ხარ! რას მენაზები,
თავს რად მაწონებ ენით?
რად იკვებები სხვისი აზრებით,
მელაპარაკე შენით!

„

*ვანო ცინცაძე*

122
23.II.76

მთავარი რედაქტორი
ზურაბ გეგაშაშვილი

სარედაქციო კოლეგია: ზ. ბოლქვაძე (მთ. რედ. მოადგილე), ზ. კაციაშვილი, ჯ. ლოლუა, გ. ლომიძე, ნ. მალაზონია (მხატვ. რედ.), გ. ნიშნიანიძე, გ. სიხარულიძე (პ/მგ. მდივანი), გ. ფირცხალავა, ო. ჭელიძე. ⊙ სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი". ⊙ ტექნიკური რედაქტორი მ. კუხალაშვილი. ⊙ თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, ⊙ საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ⊙ გადაეცა ასაწყობად 11/II-76 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/I-76 წ. ქაღალდის ზომა 70×108¹/₈ ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1. საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,4 ⊙ საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ⊙ შეკვ. 306. უე 00648. ტირ. 139.000. ⊙ Тбилиси, пр. Руставели № 42. Сатирико-юмористический журнал «Нианги». ⊙ Издательство ЦК КП Грузии. ⊙ Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.
ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ნახატი თემების ავტორები: მ. აბაშიძე, ა. ალექსიშვილი, ჯ. ბარათაშვილი, ნ. მალაზონია, გ. ლომიძე.

7 - 1976
76-122
ეროვნული ბიბლიოთეკა



## ოკეანისგადამლელი სტუმარი

ისლანდიამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ გაწყვეტს დიპლომატიურ ურთიერთობას ინგლისთან, თუ არ გაიყვანენ სამხედრო ხომალდებს ისლანდიის სანაპირო წყლებიდან.

ამ ამბავმა ისეთი დიდი შეშფოთება გამოიწვია ნატოს შტაბში, რომ მისი გენერალური მდივანი ბატონი ლუნსი გეიზერების ქვეყნისკენ აფრინა ამ კონფლიქტის მოსაგვარებლად. კი მაგრამ, ინგლისზე ძლიერ ამ ამბავმა ნატო რატომ შეაშფოთა?

მიზეზი მთლად იოლი გასაგებია და ეს გამოქვეყნდა კიდეც ნატოს საბჭოს უკანასკნელი სხდომის კომუნიკეში: ეს კონფლიქტი გავლენას მოახდენს მთლიანად ნატოს ქვეყნების ურთიერთობაზე და, უპირველეს ყოვლისა, ისლანდიის ტერიტორიაზე განლაგებულ ამერიკის უდიდეს სამხედრო-საჰაერო ბაზაზე.

ინგლის-ისლანდიის ურთიერთობა კი გამწვავდა ბრიტანეთისა და ისლანდიის სამხედრო გემების შეტაკების გამო. ინგლისმა გაგზავნა თავისი ხომალდები ისლანდიის მახლობელ წყლებში ინგლისის თევზმჭერი ტრაულერების „დასაცავად" (!) და შეეჯახა... ისლანდიის სამხედრო გემებს.

აბა, მეთევზეებს დაცვა არ უნდოდათ?

სწორედ ეს აწუხებს ლუნსს. მან შესანიშნავად იცის თევზი საიდანაც ყარს!

ისრაელის თავდაცვის მინისტრი — შიმონ პერესი — მოუწოდებს, აშენონ მეტი გასამხედროებული დასახლებანი ოკუპირებულ არაბულ მიწაზე.



## ბიძია შიმონის ქოხი

## დიპლომატიური ნიღბით

გაზეთმა „ლიბერასიონმა" კიდევ ერთი სია გამოაქვეყნა აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს 12 თანამშრომლისა, რომელთაც ოფიციალური პოსტები უკავიათ პარიზის ამერიკის საელჩოში. გაზეთის სიტყვით, ამ „მოღვაწეთა" შორის ყველაზე დიდი ფიგურაა ლუის სევიე, რომელიც წინათ ჯაშუშურ საქმიანობას ეწეოდა კაიროში, ყარაჩში, ბეირუთში, ამერიკის მარსელის საკონსულოში და ა. შ.

ვერაფერს იტყვით, — მდიდარი ბიოგრაფიაა!

ეს პირველი შემთხვევა არ გახლავთ: „ლიბერასიონმა" ადრეც გამოაქვეყნა 32 მაღალი თანამდებობის თანამშრომელთა სახელები, რომლებიც უბრალოდ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ჯაშუშები ბრძანდებოდნენ...

რას იზამთ, — ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია!





ჟურ. „პერეიდიდან" ვაშინგტონი

## თეთრი ყულაბა

ამ ამბავს მრავალი ფაქტიც ადასტურებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სენატში და წარმომადგენელთა პალატაში „ხალხის რჩეულნი", უპირველეს ყოვლისა, მეწარმეთა და ბანკირების ინტერესებს ემსახურებიან... ხოლო მათ სასარგებლოდ მიღებული ყოველი კანონის გამოტანისათვის კი უალრესად გულუხვად ჯილდოვდებიან. ეს უტყუარი და ნაცადი ხერხია. პოლიტიკასაც უნდა თავისი მამოძრავებელი ძალა. Money makes me go! — სწორედ ამას ღაღადებს ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთობ გავრცელებული ფრთოსანი გამოთქმა — „ფული მამოძრავებს, ფული მერეკება!" ან „ფულით ყველაფრის მიღწევა შეიძლება!"

როგორც გნებავთ, ისე გაიგეთ!

მაგრამ ერთი ამერიკული ანდაზა კი ავიწყდებათ ამ ჭკუამახვილ კონგრესმენებს: „ფული კარგი მსახურია, მაგრამ ცუდი — ბატონი!"

პენტაგონის სამხედრო ბაზა გარსია-დიეგოდან ინდოეთის ოკეანის ბასეინის მთელ რიგ სახელმწიფოებს უმიზნებს.

**გაზეთებიდან**




## პენტაგონის მარაო

ნახ. გ. ლომიძისა